საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 365/ს
31/07/2023

365-21-4-202307311614

ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“ 7 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ასპინძა ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“, მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ასპინძის მუნიციპალიტეტში, მდინარე მტკვარზე შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“ 7 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის „ასპინძა ჰესის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა N18;
2. შპს „ჰიდრო პ. ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N18 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჰიდრო პ. ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და ასპინძის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო